თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 11

ქ. თერჯოლა 04.10. 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე, 8. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282225687, 13.09.2022);

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227667, 03.10.2022 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75, 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 და 2022 წლის 26 იანვრის №131 განკარგულებებში შესული ცვლილებების საფუძველზე შევიდა ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2022 წლის 2 სექტემბრის № ბ28.28222454 მერის ბრძანებით:

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 427.4 ათასი ლარით(გრანტი) და შეადგენს 29534.1 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 128.5 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 555.9 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 128.5 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება შემცირდა 128.5 ათასი ლარით(სატენდერო ეკონომია).
ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობის დაფინანსება გაიზარდა 555.9 ათასი ლარით. სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების აღდგენა 545.0 ათასი ლარი და სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 10.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, დავით გოგბერაშვილმა.

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 29534.1 ათას ლარს.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 160.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 80.0 ათასი ლარით. გზების დაფინანსება შემცირდა 70.0 ათასი ლარით (ეკონომიები). საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 160.0 ათასი ლარით. მ/შორის:

სოფლის პროგრამების თანადაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

ა(ა)იპი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 125.0 ათასი ლარით.

ა(ა)იპი თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: როლანდი მესხმა, გრიგოლ გიორგაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი